ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025
U8 (VI, VII, VIII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში, **კუნძულზე** მცხოვრებ ბიჭუნას, რომელიც **პირველად ხედავს** ჯერ კიდევ **შორს მყოფ გემს**, გემი **ჰგონია იქსი**. ფილმში "**ნემოს ძიებაში**", მთავარ გმირებს **იქსი გადაყლაპავს**, თუმცა **სუნთქვისას ზემოთ ამოტყორცნის**. დაასახელეთ იქსი **ექვსასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ვეშაპი
კომენტარი: ბიჭუნას არასდროს უნახავს გემი, ამიტომ შორს მყოფი დიდი ფიგურა დედამიწის ყველაზე დიდი არსება - ვეშაპი ჰგონია. ფილმში "ნემოს ძიებაში" თითქმის ყველა პერსონაჟი წყლის ბინადარია. ერთ ეპიზოდში მარლინსა და დორის ვეშაპი გადაყლაპავს, თუმცა მალევე გამოტყორცნის ჰაერის ამოსუნთქვისას, თავზე არსებული ხვრელიდან.
წყარო: Scott O'Dell "Island of the Blue Dolphins"

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ცოტა ხნის წინ, **შვედურმა** ტურისტულმა ორგანიზაციამ გაავრცელა ვიდეო, სადაც მიმართავს **იქსის მოსახლეობას** და სთავაზობს, **დაინაწილონ საკითხები**, რათა ხალხს **ერთმანეთში აღარ აერიოს შვედეთი** და **იქსი**. ამ დანაწილების მიხედვით იქსს შეხვდა **ბანკები** და **ძვირადღირებული საათები**. დაწერეთ იქსით შეცვლილი **ქვეყანა**.

პასუხი: შვეიცარია
კომენტარი: ბევრს ერთმანეთში ერევა შვედეთი და შვეიცარია, რასაც ტურისტულმა ორგანიზაციამ ვიდეოც კი მიუძღვნა. შვეიცარია ცნობილია თავისი ბანკებითა და საათებით.
წყარო: ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, **იტალიის სამხრეთ** ნაწილიდან ბევრი ადამიანი გადასახლდა **სამხრეთ ამერიკაში**. ამბობენ, რომ სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ **ცნობილი ფეხბურთელი** ძალიან **კარგად გრძნობდა თავს** ამ გუნდში. ეს გუნდი ცოტა ხნის წინ დატოვა **ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ადამიანმა**. დაასახელეთ ეს **გუნდი**.

პასუხი: ნაპოლი
კომენტარი: მე-20 საუკუნის დასაწყისში იტალიიდან, მათ შორის ნეაპოლიდანაც, ბევრი ადამიანი გადასახლდა სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ არგენტინაში. სწორედ ამის გამო, დიეგო მარადონას თავიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნეაპოლელებთან და სწორედ ამიტომ არ გაუჭირდა ნაპოლიში თავის დამკვიდრება. ცოტა ხნის წინ ნაპოლი დატოვა ხვიჩა კვარაცხელიამ და პსჟ-ში გადავიდა.
წყარო: ბმული

4. 5-ქულიანი შეკითხვა

ერთ **ფანტასტიკურ** ნაწარმოებში, **ატმის** ნაყოფს, რომელიც **ზომაში** ძალიან **სწრაფად იბერება**, ადარებენ **იქსს**. იან ეშპოლი **600 იქსის** გამოყენებით **3000 მეტრზე აფრინდა** და **რეკორდიც** დაამყარა. დაწერეთ იქსი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ბუშტი
კომენტარი: სიტყვა "იბერება" დამატებითი მინიშნება გახლდათ. მრგვალი ატამი, რომელიც სწრაფად იზრდება, შედარებულია ბუშტს. იან ეშპოლმა 600 ბუშტს ხელი ჩასჭიდა, 3000 მეტრ სიმაღლეზე აფრენა შეძლო და რეკორდი დაამყარა.
წყარო: Roald Dahl "James and the Giant Peach", ბმული

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ-ერთი **უჩვეულო იქსის** მონაწილეებმა გადაწყვიტეს, სხვადასხვა **საჰაერო ბურთით** ჰაერში აფრენილიყვნენ და **ტყვიების** გამოყენებით ერთმანეთის მიწაზე **ჩამოგდება ეცადათ**. წიგნში "**სამი მუშკეტერი**" დ'არტანიანს მიყოლებით მოუვა უთანხმოება **ათოსთან**, **პორთოსთან** და **არამისთან**, რის გამოც ერთსა და იმავე დღეს **სამი იქსი** აქვს **დანიშნული**. დაასახელეთ იქსი **ერთი ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: დუელი
კომენტარი: გადმოცემის თანახმად, ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო დუელის მონაწილეები მონგოლფიერით, ანუ ე.წ. საჰაერო ბურთით ჰაერში აფრინდნენ და ერთმანეთს იქიდან ესროდნენ. დ'არტანიანმა მიყოლებით სამივე მუშკეტერის განრისხება მოახერხა და სამი დუელი დაუნიშნეს.
წყარო: ბმული

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი წიგნის იმ **თავში**, რომელიც **დაბლა მდებარე ადგილებს** ეხება, **სიკვდილის ველთან** ერთად ნახსენებია **ასეთი იქსიც**. **ისრაელში** მიმავალ **ტურისტს**, რომელმაც **ცურვა არ იცოდა**, აცნობეს, რომ **ასეთი იქსი** მისთვის **საფრთხეს არ წარმოადგენდა**. დაწერეთ **ორი სიტყვა**, რომელიც "**ასეთი იქსით**" **შევცვალეთ**.

პასუხი: მკვდარი ზღვა
კომენტარი: სიმბოლურია, რომ მსოფლიოში ყველაზე დაბალ ადგილებს ერთმანეთის მსგავსი სახელები აქვთ: სიკვდილის ველი და მკვდარი ზღვა. ისრაელში მდებარე მკვდარი ზღვა იმდენად მარილიანია, რომ ადამიანი ვერ ჩაიძირება და იტივტივებს, ამიტომ ცურვის არცოდნა პრობლემას არ წარმოადგენს.
წყარო: The Magic School Bus Presents: Planet Earth, ბმული

7. 5-ქულიანი შეკითხვა
მიუხედავად იმისა, რომ **ამაზონი** სიგრძით **მეორე ყველაზე დიდი მდინარეა** მსოფლიოში, ამაზონზე **ვერ შეხვდებით იქსებს**. მსოფლიოში ყველაზე **გრძელი იქსი ჩინეთში** მდებარეობს და **5 ქალაქზე** გადის. დაასახელეთ იქსი **ერთი სიტყვით**, რომელშიც **ორივე ხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: ხიდი

კომენტარი: ამაზონის მდინარის მიმდებარედ არც ისე ბევრი ხალხი ცხოვრობს და ისინი ნავებითა და ბორნებითაც ახერხებენ გადაადგილებას. თანაც, რბილი ნიადაგის გამო, ამაზონზე ხიდის მშენებლობა ძალიან ძვირი დაჯდებოდა. 165 კილომეტრის სიგრძის დანიან-კუნშანის ხიდი ყველაზე გრძელია მსოფლიოში.
წყარო: ბმული ბმული

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

ერთ ნაწარმოებში, **ინგლისში** მცხოვრები პერსონაჟი, **შორს**, **ჰორიზონტზე** ხედავს **იქსს** და მას **მელნის ხაზს** ადარებს. **შეინარჩუნეთ სიმშვიდე** და დაასახელეთ **მსოფლიოში ყველაზე დიდი იქსი**!

პასუხი: წყნარი ოკეანე
ჩათვლა: წყნარი
კომენტარი: ჩრდილოეთით მოსაზღვრე შოტლანდიის გარდა, ინგლისი დიდწილად წყლით არის გარშემორტყმული. პერსონაჟი ჰორიზონტზე ხედავს ზოლად გაშლილ ოკეანეს და მას მელნის ხაზს ადარებს, რადგან ოკეანეზე დაკვირვებისას ის მელნისფრად გვეჩვენება. სიმშვიდის შენარჩუნება დაგეხმარებოდათ წყნარი ოკეანის გახსენებაში.
წყარო: Roald Dahl “James and the Giant Peach”

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში, პერსონაჟი **მისტერ ლემონჩელო**, რამდენიმე **ბავშვს** მის მიერ აშენებულ შენობაში მიიწვევს **კონკურსში მონაწილეობის მისაღებად**. ლემონჩელოს, რომელიც **უცნაური ჩაცმულობითა** და **მხიარული ხასიათით** გამოირჩევა, ერთ-ერთი მოზარდი ადარებს **იქსს**. დაწერეთ **ერთსა** და **იმავე ასოზე** დაწყებული **სახელი** და **გვარი**, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: ვილი ვონკა
კომენტარი: პერსონაჟი მოგვაგონებს ვილი ვონკას, რომელმაც ასევე თავის შოკოლადის ქარხანაში მიიწვია რამდენიმე ბავშვი და გამარჯვებული კარგადაც დაასაჩუქრა. ვილი ვონკაც, ლემონჩელოს მსგავსად, ფერადი ჩაცმულობითა და მხიარული ხასიათით გამოირჩევა.
წყარო: Chris Grabenstein “Escape from Mr. Lemoncello's Library”

10. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

თქვენ წინაშეა ნივთი, რომელსაც **ვიკინგები მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში** იყენებდნენ **იქსის ნაცვლად**. გავრცელებული აზრის თანახმად, იქსი ადამიანს შეიძლება **სამსახურის პოვნაშიც** კი **დაეხმაროს**, რადგან უფრო **სანდო შესახედაობას** ანიჭებს. დაასახელეთ იქსი **შვიდასოიანი** სიტყვით.

პასუხი: სათვალე
კომენტარი: მასალაზე გამოსახული შუშის საგანი თვალს წააგავს. მას ვიკინგები სათვალის ნაცვლად იყენებდნენ. მიიჩნევენ, რომ სათვალე ადამიანს უფრო სანდო შესახედაობას აძლევს და სამსახურში მისი აყვანის შანსებსაც ზრდის.
წყარო: ბმული ბმული ბმული

11. 6-ქულიანი შეკითხვა
მუშკეტერებით **აღტაცებულ** დ'არტანიანს **მუშკეტერები ნახევარღმერთებად** ეჩვენება, მათი **უმაღლესი მთავარსარდალი** კი - **იქსად**. ვიდეოთამაშში "**God of War 2**" [გოდ ოვ უარ 2] **იქსის მოკვლა ოლიმპოს მთის** ირგვლივ **სრულ ქაოსს** იწვევს. დაასახელეთ იქსი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ზევსი
კომენტარი: ნახევარღმერთი ბერძნული მითოლოგიისთვის სახასიათო ცნებაა, ბერძნული პანთეონის უმაღლესი ღვთაება კი ზევსია, რომელიც ოლიმპოს მთაზე ცხოვრობს. მითოლოგიის უმაღლესი ღმერთის მოკვლა ვიდეოთამაშში სრულ ქაოსს იწვევს.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

parenting]

მშობლები სხვადასხვა **სოციალურ ქსელში** ხშირად **აზიარებენ** მნიშვნელოვან ინფორმაციას თავიანთი შვილების შესახებ. დარიგებულ მასალაზე თქვენ ხედავთ ამ **ფენომენისთვის დარქმეულ სახელს**, რომელშიც **ორი ასო შევცვალეთ ერთით**. აღადგინეთ სიტყვა **საწყისი ფორმით**.

პასუხი: Sharenting

კომენტარი: სიტყვა “აზიარებენ” დამატებითი მინიშნება იყო სოციალურ ქსელებში გავრცელებულ “Share” ფუნქციონალზე. ფენომენს, როდესაც მშობლები არასრულწლოვანი შვილების ფოტოებს დიდი დოზით აზიარებენ ფეისბუკზე ან სხვა საიტებზე, ეწოდება Sharenting.
წყარო: ბმული

13. 5-ქულიანი შეკითხვა
“**კუნგ ფუ პანდას**” ფილმების მოქმედება **ძველ დროში** მიმდინარეობს. თავის **ფანებთან** შეხვედრისას, პოს თან ახლავს პერსონაჟი, რომელიც **ძალიან ჩქარა აკეთებს ამას**. ერთი წიგნის გმირს სურს, **მთელ მსოფლიოს მიაწვდინოს ხმა** და იწყებს **ამის კეთებას**, რადგან **სიტყვებისგან განსხვავებით**, **თარგმნას არ საჭიროებს**. დაწერეთ “ამის გაკეთებით” შეცვლილი **ქმედება** ერთი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ხატვა
კომენტარი: რადგან ძველ დროში არ არსებობდა ფოტოაპარატი, პოს დაჰყვება პერსონაჟი, რომელიც ძალიან სწრაფად ხატავს და სწორედ ეს უწევს ფანებს ფოტოსურათის მაგივრობას. მეორე ნაწილში ნახსენებ გმირს კი მიაჩნია, რომ ხატვა კომუნიკაციის უნივერსალური საშუალებაა და სხვადასხვა ენაზე თარგმნას არ საჭიროებს, განსხვავებით სიტყვებისგან.
წყარო: კუნგ ფუ პანდა 4, Sherman Alexie “The Absolutely True Diary of a Part-Time Indian”

14. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

დარიგებულ მასალაზე თქვენ ხედავთ **კალათბურთელ** ჯეილენ ბრანსონს. ჩაგდებული **სროლის** შემდეგ ჯეილენ ბრანსონი მატჩის **კომენტატორმა შეადარა იქსს**. იმის გამო, რომ იქსი **ძალიან მაღალია** და **სპილენძისგან** შედგება, მას ხშირად **ეცემა მეხი**. დაწერეთ იქსი **ორი სიტყვით**.

პასუხი: თავისუფლების ქანდაკებას
კომენტარი: ალბათ მაისურზე არსებული წარწერით მიხვდით, რომ ჯეილენ ბრანსონი ქალაქ “ნიუ იორკის” კლუბში თამაშობს. სროლის შემდეგ ჰაერში დატოვებული ხელის გამო, კომენტატორმა ის შეადარა ნიუ იორკის მთავარ ღირსშესანიშნაობას - თავისუფლების ქანდაკებას. თავისუფლების ქანდაკება ძალიან მაღალია და ხშირად ეცემა მეხი.
წყარო: ბმული ბმული

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ წიგნში, **ვენაში** ჩასული პერსონაჟები, კითხულობენ **მარია ანნას** დღიურს და აღნიშნავენ, რომ ის **ისეთივე გენიოსია**, როგორც **მისი კლასიკოსი ძმა**, უბრალოდ **მე-18 საუკუნეში მუსიკა**

ქალების საქმედ არ მიიჩნეოდა. პასუხის ფურცელზე დაწერეთ **მარია ანნას გვარი შვიდი ასოს** გამოყენებით.

პასუხი: მოცარტი
კომენტარი: მარია ანნა ისეთივე ნიჭიერი ბავშვი იყო, როგორც მისი ძმა - ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, თუმცა საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალება სრულად არ მიეცა, რადგან მე-18 საუკუნეში მუსიკა ქალების საქმედ არ მიიჩნეოდა. ჩვენ შეკითხვაში ვახსენეთ სიტყვები "ვენა" და "კლასიკოსი", რაც დამატებითი მინიშნება იყო ვენის კლასიკოს მოცარტზე.
წყარო: One False note